

საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ. 58) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი³“ ან „ი⁴“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ამ კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის დაწყების შემდეგ მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია მიმართოს სასამართლოს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ მოსამართლის ბრძანების გამოცემის მოთხოვნით, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. სათანადო საკითხის მოსამართლის მიერ განხილვისა და გადაწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII¹ თავის შესაბამისად.“.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის შესრულების შემოწმებაზე, თუ ის შერჩევითი კონტროლით, კალენდარული წლის განმავლობაში სამჯერ ხორციელდება;“;

ბ) „ი²“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი³“ და „ი⁴“ ქვეპუნქტები:

„ი³) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ სამედიცინო საქმიანობის კონტროლზე, ამ კანონის მე-3 მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, შემდეგი საფუძვლით:

ი³.ა) პაციენტის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი საჩივარი;

ი³.ბ) ორსულის, ახალნამშობიარები ქალის ან/და ახალშობილის ან ბავშვის გარდაცვალება;

ი³.გ) ადმინისტრაციული ორგანოს მიმართვა;

ი³.დ) პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე გართულება ან მისი მოულოდნელი გარდაცვალება, რაც ცნობილი გახდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით;

ი⁴) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლზე, ამ კანონის მე-3 მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად, ფარმაცევტულ საწარმოსა და საბითუმო რეალიზაციასთან დაკავშირებით, შემდეგი საფუძვლით:

ი⁴.ა) მომხმარებლის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი საჩივარი ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით;

ი⁴.ბ) ადმინისტრაციული ორგანოს მიმართვა;



ი⁴.გ) გავრცელებული საჯარო ინფორმაცია, რომლის მიხედვით:

ი⁴.გ.ა) საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

ი⁴.გ.ბ) არსებობს გარემოება, რომელიც შესაძლებელია მტკიცებულების განადგურებას უკავშირდებოდეს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

3 ივლისი 2023 წ.

N3460-XIIრს-Xმპ

